ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2669448

ნომერი: AR1413562

თარიღი : 16.06.2016

გაცემის თარიღი : 05.07.2016

გაცნობის თარიღი : 06.07.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქართველოს სამხედრო გზა , ახმეტელისა და ლუბლიანის ქუჩებს შორის/ ქალაქი თბილისი , საქართველოს სამხედრო გზა , ავტოგასამართ სადგურებს "იორი"-სა და "შოვს" შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ზაქარეიშვილი პ/ნ 01021007407
- თბილისი თემქა IV მ/რ კორ. 3ა ბ. 43

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ AR1413562 ელექტრონულად ატვირთული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, დიდუბე რაიონი, საქართველოს სამხედრო გზა, ახმეტელისა და ლუბლიანას ქუჩებს შორის/ ქალაქი თბილისი, საქართველოს სამხედრო გზა, ავტოგასამართ სადგურებს „იორი“-სა და „შოვს“ შორის არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N# 01.13.01.022.134) საზღვრების კორექტირებას; პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-104 დადგენილებითდამტკიცებული ს.ს.ი.პ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე–2–3 მუხლებისთანახმად, სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს კანონით გათვალისწინებული საქმიანობისგანხორციელებას.

გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.13.01.022.134) დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის შესაბამისად ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1), სადაც დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა. ამასთანავე მოთხოვნილ ტერიტორიაზე ვრცელდება შეზღუდვა (გამწვანების სპეციალური ზონა), ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ 31.03.2006 წლის დადგენილება N41-ით საქართველოს სამხედრო გზის,ახმეტელისა და ლუბლიანას ქუჩებს შორის მდებარე დიღმის ტყე-პარკის გამწვანების სპეციალურ ზონად გამოყოფის შესახებ. შესაბამისად რაიმე ფორმით ჩარევა და მიწის ნაკვეთის კორექტირება სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.